MES 8 20 00441125

05/06/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (1-ლი - მე-4 საკითხები)
სხდომის თვმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (მე-5 საკითხი)
საბჭოს მდივანი: ნიკოლოზ კიკნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;

4. მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. თამარ ტუფინაშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

12. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გია გუგუშვილი		რექტორი	I

		სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის		
2	ნინო ღაღანიძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	ნინო ჭოღოშვილი	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ირინა არჯევანიძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	თამარ ჩხეიძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	მანანა ტაბიძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	მაკა ვირსალიძე	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტის დეკანი	II
8	ქეთევან ბოლაშვილი	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	II
9	თინათინ თურქია	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	პროგრამაში ჩართული მასწავლებელი	II
10	ვაჟა ვარდიძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	III
11	თამარ ქობულაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	ნინო ქათამაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	III
13	ნინო წიქვაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	III
14	სერგო ვარდოსანიძე	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	რექტორი	IV
15	ლევან ჯიქია	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	დეკანი	IV
16	ჯაბა მესხიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი	IV

17	პაატა გოგიშვილი	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი,	IV
18	ელენე კაკაბაძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
19	ნინო აბაიშვილი	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	V
20	დოდო მაღრაძე	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამარ ჩოკორაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
2	ხვთისო მამისიმედიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I- II
3	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	სალომე წულუკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი „სტომატოლოგიის“ პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1.პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	კვალიფიკაცია არ ენიჭება
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ეროვნული გამოცდები მშობლიურ ენაზე და სახელოვნებო გამოცდა
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0108, ძმები ზუბალაშვილების ქ. №47
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ ჩოკორაიამ, რომელიც არის ფილოლოგიის დოქტორი, პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაციები არ აქვთ და შემოიფარგლებიან მხოლოდ რჩევებით, ვინაიდან პროგრამა საკმაოდ კარგად პასუხობს დასახულ მიზნებს. დისტანციური ფორმით ვიზიტი განხორციელდა 22 აპრილს, ვიზიტამდე ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ექსპერტები გაესაუბრნენ ვიზიტის ფარგლებში სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციას, რექტორს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკის დირექტორს, ასევე თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, ლექტორებს და კურსდამთავრებულებს. კურსდამთავრებულებს რაც შეეხება გაესაუბრნენ სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებს, ვინაიდან პროგრამას ჯერ მხოლოდ ერთი სტუდენტი ჰყავს და მასთან დაკავშრება შეუძლებელი აღმოჩნდა.
რჩევებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ შეიმუშავეს შემდეგი რჩევები:
სასურველია დარგობრივი ენის კურსში აქცენტი გაკეთდეს ისეთი დარგობრივი ლექსიკის შესწავლაზე, რომელიც სტუდენტ მოამზადებს სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო საფეხურისათვის. იყო ასეთი საგანი წარმოდგენილი, თუმცა უფრო ზოგადი კომპეტენციები და ნაკლებად ჩანდა სამხატვრო აკადემიის სპეციფიკა.
მეორე, სასურველია, საგნები სპეციფიკის გათვალისწინებით იყოს შეფასებისა და გამოკითხვის ფორმაში, ანუ სილაბუსების აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტად ერთნაირი შეფასების და გამოკითხვის ფორმები ჰქონდათ მიუხედავად იმის, რომ საგნები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.
მესამე, სასურველია სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად სხვადასხვა ექსტაკულიკულური აქტივობების შეთავაზება. ეს სამომავლოდ, როდესაც მათ ეყოლებათ სტუდენტები, ეს იქნება ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ასე შემდეგ, რაც შეუწყობთ მათ ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას.
ბოლოს, სასურველია პროგრამის გარეშეფასების განხორციელება საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მსგავსი პრაქტიკა აქვთ ხოლმე უმაღლეს სასწავლებლებს და ექსპერტებმაც ურჩიეს, რომ ეს შესაძლებლობა გამოიყენონ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ რჩევები გააცნეს ექსპერტებმა ვიზიტის დასრულების შემდეგ და სიამოვნებით გაიზიარებენ იქიდან გამომდინარე, რომ განსაზღვრული

რჩევები პროგრამის განვითარებაზეა მიმართული. განსაკუთრებით პირველ ორ რჩევასთან დაკავშირებით. ერთი შეხვედრა შედგა უკვე პროგრამის პედაგოგებსა და სახელოვნებო პროგრამის პერსონალს შორის. იქ სწორედ იყო საუბარი აი ამ დარგობრივ ტერმინოლოგიაზე, რომელიც უნდა დაემატოს ამ სილაბუსს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ გაითვალისწინონ უცხო ენების პედაგოგების გამოცდილება, მაგალითად დარგობრივი ტერმინოლოგია და ლექსიკა როგორ უნდა იყოს გამოყენებული ამ სწავლების პროცესში. ასე, რომ ამაზე მიმდინარეობს მუშაობა და რაც შეეხება შეფასების ფორმებს, პროგრამაში ჩართული პერსონალი მუშაობს ამ მიმართულებითაც, შეთანხმებულები არიან, რომ სულ მალე, მაისის ბოლოსთვის ისინი წარმოადგენენ უკვე თავის ვარიანტს და განხილული იქნება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხებოდა ბოლო რჩევას, მათ აქვთ ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოლეგიალური შეფასებისთვის გააგზავნონ შესაფასებლად პროგრამა, როდესაც საბოლოო სახე ექნება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს კვალიფიციური რჩევებისთვის.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსებსაც გადახედა და ნამდვილად პროფესიული თვალსაზრისით კარგად, კომპეტენტურად არის შედგენილი, თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ერთადერთი რაც თვალში მოხვდა, პერსონალის პირად საქმეში ნაკლებად დასტურდება სერთიფიკატებით, თუნდაც დიპლომის სახით ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ან გამოცდილება ან კვლებითი პატარა ისტორია, პრაქტიკა და თავად უნივერსიტეტი ხომ არ ფიქრობს, ამ კუთხით განვიტარებას. მაგალითად, მასწავლებლის სახლს აქვს ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების სპეციალური კურსები შესაბამისი სერთიფიკატებით. პედაგოგებს აქვთ ასეთი სერთიფიკატები, ოღონდ ისინი არის პირველი-მეექვსე კლასის ქართულის მასწავლებლისთვის, იმიტომ, რომ პერსონალს ზოგს ისტორიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ზოგს უცხო ენაც და გამოცდილებაც ინგლისური ენის სწავლებაში აქვთ. მეორეც, სილაბუსებში ნამდვილად ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ თვითონ დაწესებულებას რა ხედვა აქვს მათი პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით რადგან ახალ დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით ეს ნამდვილად პრობლემური იქნება სამომავლოდ და ისიც სულ მალე, ერთ კვირაში შედის ძალაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან ჰქონდათ ამ თემასთან დაკავშირებით უკვე საუბარი და თვითონ დაუკავშირდებიან მასწავლებელთა და პროფესიული განვითარების ცენტრს, რომ გაიგონ ეს ვადები და როგორ ხდება რეგისტრირება იმისთვის, რომ პედაგოგებს ხელი შეეწყოთ სერტიფიკატების აღებაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0
საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევა:

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ნაკლებად უფიქსირდებათ სერთიფიკატებით ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომ აქვთ ქართული ენის სწავლების კომპეტენცია ან პრაქტიკა. შესაბამისად დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მათი შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება.

რჩევა:

სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს "ქართულ ენაში მომზადების" დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას 4 წლის ვადით აკრედიტაცია.

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	20.11.2012 წლის № 707
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	კვალიფიკაცია არ მიენიჭება
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, თბილისი, 0108., გრიბოედოვის ქ N 8-10.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით აქვთ მხოლოდ რჩევები.
ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 15 აპრილს. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კონსერვატორიის კურსდამთამთავრებულებთან და გამოიკვეთა რიგი საინტერესო საკითხები, პროგრამას აქამდე არ ჰყოლია სტუდენტი, ამაზე რექტორიც ესაუბრა და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი. მათ ესმით, რომ ეს არის კომპლექსური საკითხი, გარდა იმის, რომ კონსერვატორიის ძალებით შეუძლებელია პრობლემის სრულად დაძლევა, ეს არის სახელმწიფოზე დამოკიდებული, აქ არის საუბარი სამუსიკო ტრადიციებზე, მთელ რიგ სპეციფიკებზე, რაც მათ კომპეტენციას სცდება, მაგრამ მათი რჩევაა, ვინაიდან ხორციელდება აკრედიტაცია აუცილებელია თავიანთი მწირე რესურსებით მაინც განახორციელონ, დაგეგმონ რაიმე საინფორმაციო კამპანია, რათა მიიზიდონ სტუდენტები პროგრამაზე და პროგრამა ისევ არ დარჩეს სტუდენტების გარეშე. სილაბუსები სრულად პასუხობდა პროგრამის სტანდარტებს. მიუხედავად იმის, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი იყო სამუსიკო განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია თითქმის ყველგან იყო ეს ასახული და ასეთი პრინიციპით აპირებენ სწავლებას, მაინც მათ მიიჩნიეს, რომ სასურველია ისეთი არჩევითი კურსის შეთავაზებაც, სადაც დარგობრივი ლექსიკა ცალკე იქნება გამოტანილი.
მეორე რჩევაა, ესტრაკურიკულური აქტივობების შეთავაზება, რისი რესურსიც კონსერვატორიას აქვს.

მესამე რჩევა ამიუხედავად იმის, რომ ისინი გულდასმით გაეცნენ სილაბუსებს და პროფესიული რეპუტაციაც იციან განმახორციელებელი პირების, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელის ქალბატონი მანანა ტაბიძის, მიუხედავად მათი გამოცდილებისა, კვალიფიკაციისა და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებიც არ ჰყავთ, რჩევის დონეზე დააფიქსირეს, რომ აუცილებელია სტუდენტების მოზიდვის შემთხვევაში მაინც გაიზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობაც. მხოლოდ ორია წარმოდგენილი. ასევე, ბოლო რჩევა ეხება იმ საკითხს, რომ გარე შეფასება განხორციელდეს საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში, რაც ასევე განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ წარმოედგინათ მათ პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათთვის მისაღებია რჩევები და არაფერი აქვთ საწინააღმდეგო იმასთან, რომ ბევრი სტუდენტი ჩაირიცხოს პროგრამაზე და ეს პროგრამა აამოქმედონ, მაგრამ აქ არის მუსიკალური კომპეტენციის საკითხები, რომელიც კონსერვატორიაში ფილტრავს მომავალ კონტიგენტს და რაც შეეხება სპეციალისტს, ესე ვთქვათ უფრო დიდი ჯგუფის მოზიდვას, ეხლა რაც შეეხება, როდესაც არ აქვთ ანაზღაურება იმიტომ, რომ არ აქვთ ეს პროგრამა მოქმედებაში, მათ მოახერხეს საკუთარი ძალებით ეს სილაბუსები შეედგინათ და რა თქმა უნდა მთლიანად ყველაფერი შეუსაბამეს სახელმწიფო ენის პროგრამას, გაითვალისწინეს ყველა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის ანალოგიური პროგრამები და რა თქმა უნდა დიდი სიამოვნებით მიიწვევენ სხვა მასწავლებლებს, თუ კი ასეთ პროგრამას ექნება რეალური შესაძლებლობა, რომ ხალხმაც იმუშაოს და მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ეს სფერო თუ მრავალფეროვანი გახდება რა საკვირველია ძალიან კარგი იქნება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, იმისთვის, რომ გაგებით, შინაარსიანად და საინტერესოდ მიმდინარეობდა კომუნიკაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს "ქართულ ენაში მომზადების" დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას 7 წლის ვადით აკრედიტაცია.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი.

3. **მესამე საკითხი:** შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0186, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავამ.

თვითაცილების საფუძველი: დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მესამე საკითხის ზეპირი განხილვა:
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სულ ორი რეკომენდაცია აქვთ, მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, ესეც არის პირობითად მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომლებიც ცოტა ხანში უკვე გათვალისწინებული იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ის აკადემიური პერსონალი, რომელზეც არის საუბარი დაიცავს დისერტაციას და ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი. რეკომენდაციები მათ დაწერეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოცემული ვითარების შესაბამისად შეაფასეს პროგრამა შესაბამისად ფართო კონტექსტში თუ იქნება გააზრებული, ეს რეკომენდაციაც სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს და თხოვა პროგრამის ხელმძღვანელს უშუალოდ ამ თემასთან დაკავშირებით ესაუბრა. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაციები პირობით ხასიათს ატარებს. ეს რეკომენდაციები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პროგრამა განვითარდეს და იყოს მდგრადი, მათ ამაზე მუშაობა დაწყებული აქვთ. მოცემულ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობს 6 ფსიქოლოგიის დოქტორი და გარდა ამისა, მომიჯნავე დარგებში დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაგან 7 არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი, რაც იმ რაოდენობა სტუდენტებისთვის, რომელთა მიღებაც იგეგმება პროგრამის ფარგლებში, დამაკმაყოფილებელიც არის და შეიძლება ითქვას, რომ საკმარისზე მეტიც. იმ დოქტორანტებს რაც შეეხება ვინც ჩართულნი არიან პროგრამაში, მათი ნაწილი არის დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ისინი არიან ახალგაზრდა მკვლევარები და ამავდროულად პრაქტიკოსებიც და მათ კვალიფიკაციაში ეჭის შეტანის საფუძველი არ არსებობს. უახლოეს პერიოდში 2 წელიწადში მაქსიმუმ ისინი დაიცავენ დოქტორის ხარისხს, რის შემდეგაც უნივერსიტეტი იზრუნებს იმაზე, რომ შესთავაზოს აფილირების მიმზიდველი პირობები. გარდა ამის, მას შემდეგ რაც პროგრამა აკრედიტაციას მიიღებს, უნივერსიტეტი ხელახლა გამოაცხადებს აკადემიური პერსონალის დასაკავებელ თანამდებობებს და დაიწყებენ დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მოზიდვას, რომ შეინარჩუნონ პროფესორები და ასოცირებული პროფესორები.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებით სრულად მისაღებია დაწესებულების პოზიცია, რომ ესეც უნივერსიტეტის

პოლიტიკაა, რომ უნივერსიტეტმა ჯერ უნდა შესთავაზოს მოწვევა ახალ პერსონალს, პერსონალს უნდა გაუჩნდეს ინსტიტუციასთან მიკუთვნების განცდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება აფილირებაზე ისაუბრონ, ამიტომაც აფილირების თემაც დიდად არ გამოიკვეთა დასკვნის წერის დროს.

დაწესებულებსი წარმომადგენლებმა შეჯამების სახით განმარტეს, რომ აკადემიური პერსონალიდან 16 დოქტორია ჩართული, 6 უშუალოდ ფსიქლოგიის, 10 დოქტორია მომიჯნავე დარგების, რომლებიც ისწავლება პროგრამაში, დაახლოებით 8 აკადემიური პერსონალი ჰყავთ დამატებით დოქტორანტი. ანუ ძირითადად მათი აკადემიური რესურსით ხორციელდება პროგრამა მთლიანად, იმიტომ, რომ საკმარისად მეტი დრო ჰქონდათ მოსამზადებლად და მათგან ნახევარი აფილირებულია, დაახლოებით 7 თუ 8 დოქტორი ჰყავთ აფილირებული და დამატებით ასისტენტების ნაწილი, მაგრამ სურვილი აქვთ, რომ ჰყავდეთ მეტი აფილირებული და მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს ამის ხაზგასმისთვის.

ისინი ფიქრობენ, რომ წელიწადში 20 სტუდენტი უნდა მიიღონ ერთი ჯგუფი საშუალოდ, მაქსიმუმ რასაც ვარაუდობენ შეუძლიათ 2 ჯგუფზე გამოაცხადონ მიღება, ეს ბიუჯეტშიც არის ნაჩვენები.

საბჭოს წევრმა ექსპერტებს და დაწესებულებას დაუსვა კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ ზოგადად დღეს არსებულ ანალოგიური პროგრამებისგან რით განსხვავდება ეს პროგრამა თუ არის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ განმასხვავებელი ერთია და ძირითადი საფუძველი იმის, რომ პროგრამა გამართულია, მოწესრიგებულია, მდგრადი იქნება და მოგვცემს სასურველ შედეგს არის ის, რომ პროგრამა აკმაყოფილებს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელიც უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანს, ანუ ამას სრულად აძლევს, ანუ აუცილებელ და საკმარისს შედეგებზე გადის ყველა შემთხვევაში რასაც ყველა პროგრამა ვერ ახერხებს. მეორე ის, რომ პროგრამაში არის ძალიან კარგად გააზრებული და გათვლილი კონკრეტულად როგორი პროდუქტის მიღება უნდათ და სად წავლენ ეს ადამიანები დამთავრების შემდეგ, ბატონმა დიმიტრიმ ახსენა სოციალური და განვითარების ფსიქოლოგია და ეს არის ის ორი ასე ვთქვათ მიმართულება, რომელსაც სტუდენტები მერე უკვე საბაზისო საგნების გავლის შემდეგ არჩევითი საგნების კომბინაციით შეძლებენ, რომ დაეუფლონ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. ანუ გამორჩეული ამ პროგრამაში არის ის, რომ გაფანტულად არ ამთავრებს კურსდამთავრებული, აქვს საბაზისო ცოდნა, ის კომპეტენციები, რომლებიც ფსიქოლოგიის ბაკალავრს უნდა ჰქონდეს, და დამატებით მიმართულება ცოტა უფრო სიღრმეში წასული ორი კონკრეტული მიმართულებით. ბატონმა დიმიტრიმ ძალიან სწორედ აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას ძალიან კარგად ჩანდა ყველა სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრის პროცესში, რომ მათ აქვთ მიზნად აღებული ხარისხიანი კადრის მომზადება და არა რაოდენობრივად ბევრის მომზადება და ესეთი ფუფუნება, რომ ამდენი პროფესორი ესეთი კვალიფიკაციის მოახმარონ კონკრეტულად, მიზნობრივად შერჩეული სწავლის შედეგების მიღებას არის ძალიან კარგად დალაგებული, ანუ ლოგიკურობაა მოცემული, რომელიც შედარებით ვიწრო მიმართულება გვირგვინდება თავისი პროფესიული პრაქტიკით. ამაზე მეტ უნიკალურობას საბაკალავრო პროგრამას ვერ მოეთხოვება, არის აწყობილი, შეკრული, გააზრებული და კონკრეტული მიმართულებებისთვის საფუძველსაც ყრის შემდგომში, ან მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისთვის, ან უკვე პრაქტიკაში წასასვლელად და კიდევ ერთხელ აღნიშნა, აკადემიური პერსონალი, რომელიც არის ღერძთა ღერძი და ძალიან საამაყო და სასიამოვნო იყო.

აღებულია ორი მიმართულება, განვითარების ფსიქოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია, ასევე ბევრი ჩაშლაა, მაგრამ უნიკალური არის სწორედ იმიტომ, რომ სოციალური ფსიქოლოგიის ის ნაწილი აქვთ აღებული, რომელიც ავითარებს და ამაგრებს ასე ვთქვათ განვითარების ფსიქოლოგიას და სწორედ ეს იყო განმასხვავებელი.

სტუდენტ-ექსპერტმა სალომე წულუკიძემ დაამატა, რომ სამწუხაროდ ამ პროგრამას არ ჰყავდა სტუდენტები, ახალი პროგრამაა თუმცა იმ სტუდენტებისგან, რომლებიც სხვა პროგრამის

სტუდენტები იყვნენ, მოისმინეს ძალიან ბევრი რამ, აღსანიშნავი იყო ის, რომ სტუდენტებს ძალიან ხშირად ჰქონდათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების ან მსგავსი პროგრამების შესახებ, ანუ არ ჰქონდათ ინფორმაციული ვაკუუმი და ძალიან ბევრ შესაძლებლობას აძლევდა უნივერსიტეტი ამ მხრივ, როგორც დასაქმების, ასევე გაცვლითი პროგრამების მხრივ, რაც მისასალმებელია და როგორც აღნიშნეს სტუდენტებს ძალიან უწყობს ხელს უნივერსიტეტი.
საბჭოს წევრმა ირმა წერეთელმა აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოა პროგრამის ასე დადებითად შეფასება. დასაქმების თვალსაზრისით ისეთი პროფესიაა მოთხოვნაც არსებობს და ბევრი მიმართულებითაც შეიძლება ეს კადრები დასაქმდნენ. მისი აზრით ფსიქოლოგია და ლოგიკა ბევრად უფრო საჭიროა და აუცილებელი ფსიქოლოგისთვის ვიდრე ის კურსები რაც სავალდებულოში აქვთ და მისთვის საერთოდ არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ ამათი საჭიროება ფსიქოლოგისთვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციით ამ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის ძლიერ მხარეებშია არჩევითი საგნების მრავალფეროვნება, რაც განასხვავებს სხვა პროგრამებისგან, მეორე ეს არის კვლევაზე აქცენტირება, კვლევის მეთოდები, რომლებიც ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლება, სტატისტიკის ნაწილი, დამატებით ფსიქომეტრია, ასევე ფსიქოლოგიური შეფასება, სტუდენტს აძლევს კვლევის კარგ უნარებს, ამას გარდა ის რაც საუკეთესო პრაქტიკად ჩათვალეს ექსპერტებმა, პრაქტიკული არჩევითი კურსების მოწვეული ლექტორები, რომლებსაც დღესდღეობით დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ და აგრძელებენ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობას, ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და წიგნების ფონდი, ცდილობენ, რომ თანამედროვე სახელმძღვანელოები შემოიტანონ და იმით ასწავლონ. ასევე ექსპერტმა სტუდენტმა რაზეც გაუსვა ხაზი ერასმუსის გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა, რაზეც აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტი, შერჩეულია ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტი და გრძელდება მუშაობა უნივერსიტეტების სიის გაფართოებაზე.
რაც შეეხება სავალდებულო საგნებს აუცილებელია ასევე ისწავლებოდეს წერითი და კომუნიკაციის უნარჩვევები, ეს სულ ჭირდებათ სტუდენტებს, ყველა საგანში რეფერატია მოსამზადებელი, შემდეგ უკვე საჯარო დაცვა, პრეზენტაცია და მნიშვნელოვანია ეს უნარები ჰქონდეთ სტუდენტებს. დანარჩენი, იმის გამო რომ 6 კრედიტიანი საგნებია, არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა ვთქვათ, რომ უფრო მეტი საგანი სავალდებულო გამხდარიყო. უნდა აღინიშნოს, რომ პირადად პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნა იყო, რომ ფილოსოფიის შესავალი და ლოგიკა პირველ კურსზე უნდა იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის, ანუ მათ აქვს არჩევითის ნაწილი პირველ სემესტრში სავალდებულო არჩევითი ასე ვთქვათ, მინიმალური კრედიტები უნდა დააგროვოს იმ სფეროდან და რეალურად ფილოსოფიის შესავალი ფაქტობრივად გამოვა ისე, რომ ფსიქოლოგიის ჩვენ ყველა კურსდამთავრებულს დამთავრებული ექნება, იმიტომ რომ ეს ჩვენ გვაქვს თეოლოგიის პროგრამაში.
დიმიტრი გეგენავამ ასევე აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, როდესაც დაიწყება განხორციელება, პროგრამის ხელმძღვანელი მიადევნებს ამას თვალს და დიდი სიამოვნებით გაითვალისწინებენ, მითუმეტეს, რომ რესურსი დაზოგილი ნამდვილად არ არის, ანუ 120 კრედიტი რაც კანონმდებლობით მოითხოვება მათი პროგრამის მიხედვით გაცილებით გაზრდილია. რეალურად გაცილებით მეტი მოეთხოვება, რომ მიიღოს ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხი ვიდრე კანონმდებლობის მინიმუმია. მადლობა გადაუხადა რჩევებისთვის და ფიქრობს, რომ ფილოსოფიის შესავალი წესით და რიგით იურისტებმაც უნდა ისწავლონ.
პრაქტიკის არჩევითობას რაც შეეხება აღნიშნული ზირითადად გამომდინარეობეს იქიდან, რომ იმ ორგანიზაციებთან ვისთანაც მემორანდუმი აქვს გაფორმებული დაწესებულებასთან სრულად თანამშრომლობა ვერ ხერხდება ამიტომ პრაქტიკა არჩევით საგნებშია რაც საშუალებას მისცემს დააკვირდნენ პროცესს.
საბჭოს წევრს ასევე ჰქონდა კითხვა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით. პრაქტიკა ასეთი პროფესიის პროგრამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სტუდენტებსაც დაეხმარება თუნდაც საბაკლავრო ნაშრომის შექმნაში. გაუკვირდა, რომ კვლევის მეთოდები 2

სემესტრის განმავლობაში ისწავლება, სილაბუსებსაც ჩახედა და კარგია, მაგრამ აკადემიური წერის არ არსებობა დანაკლისია, რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტმა, რომ ბაკალავრებს არ ასწავლოს აკადემიური წერა?
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ რეალურად არ ჰქვია ასე საგანს, მაგრამ ინტეგრირებულია სავალდებულო საგნებში, კომუნიკაცია, პრეზენტაცია, დისკუსიის ტექნიკა დაახლოებით 5 თემა ეთმობა აკადემიური წერის ფუძემდებლურ საკითხებს, მათ შორის აკადემიურ ეთიკას, ციტირების ტექნიკას, სათაურის შერჩევას, სტრუქტურირებას, ბილიოგრაფიას და წყაროთა დამოწმების წესს, და რეალურად არის სავალდებულო საგანი და ამას ფაქტობრივად ამოწმებენ, როდესაც რეფერატებში წერენ და მათ შორის პლაგიატის სისტემაზეც ატარებენ, ანუ რეალურად ეს პრაქტიკაში მუშაობს. აკადემიურ წერას ცალკე, რომ ასწავლიდნენ იმდენად თეორიულ ასპექტებზე ხდებოდა ყურადღების გამახვილება, რომ პრეზენტაციების უნარები, რაც აკადემიური წერის ძალიან მნიშვნელოვანი ვერბალური ნაწილია გადადიოდა უკან. ამიტომ ბერლინის პედაგოგიური უნივერსიტეტის რეკომენდაცია მიიღეს და გააერთიანეს ამ კურსში და სავალდებულო საგნების ნაწილშია. რეალურად 2 წელია ეს ხდება და შედეგები არის მართლაც შთამბეჭდავი, იმიტომ, რომ ჰყავდა სტუდენტები, მაგალითად მეოთხე კურსზე კი არა მაგისტრატურაზე სქოლიოს დასმა არ იცოდნენ და წყაროს დამოწმება რა არის და აკადემიური ეთიკის საკითხი და ახლა მინიმუმ საბაზისო უნარები რაც წერისთვის საჭიროა საბაკალავრო ნაშრომისთვის, ნამდვილად აქვთ. ანუ ერთი წყება სტუდენტი უკვე ამ გავლილი სავალდებულო საგნის შედეგებით გვაქვს და ნამდვილად შთამბეჭდავია და შედარებაც არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ ანტიპლაგიატი აამოქმედეს, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ სტუდენტები ამ საგანს.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა დასვა კითხვა რა იგულისხმებოდა თანაპირობაში.
დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ეს წინაპირობაა იგივე, უბრალოდ ამ შემთვევაში ვინაიდან ორი იყო უბრალოდ შეუცვალეს ნაწილი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ უბრალოდ მეტი ყურადღება დაუთმონ იმიტომ, რომ იმ საგნის სწავლებისთვის ეს კონკრეტული საგანი, რომელიც თანაპირობად არის მიჩნეული ძალიან მნიშვნელოვანია. ანუ თვითონ კურიკულუმში ისე ჩასმულია, რომ ერთი და იგივე სემესტრში ისწავლება პარალელურად.
საბჭოს წევრმა იკითხა რა ხდება იმ შემთხვევაში ერთ-ერთი საგანი თუ ვერ დაძლია სტუდენტმა. ორივეს სხვადასხვა წინაპირობა აქვს, მაგალითად პირობითად ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას თავისი წინაპირობა აქვს და თანაპირობა აქვს სოციალური ფსიქოლოგია. სოციალურ წინაპირობას კი სხვა წინაპირობა აქვს და ვთქვათ ვერ გადის ამ ფსიქოლოგიურ წინაპირობას ამ შემთვევაში რა ხდება? ანუ პრაქტიკაში როგორ ხდება?
დიმიტრი გეგენავამ უპასუხა, რომ პრაქტიკაში ინდივიდუალურ გეგმაში ეხმარებიან სტუდენტს და მაინც ცდილობენ, რომ ის ორი ერთ სემესტრში გაიარონ, მის ნაცვლად სხვა სავალდებულო საგანს გაივლის ვთქათ, იმიტომ, რომ სასურველია ორივე ერთად გაიაროს, რაც შეეხება თუ კი ერთი დაძლია და მეორე ვერ, ეს ჩვეულებრივი სიტუაციაა და მოუწევს იმ საგნის ხელახლა გავლა, ამას ვერავინ გაითვალისინებს. რეალურად ეს არის სარეკომენდაციო ხასიათის, რომ გაიაროს იმ სემესტრში პარალელურად, თორემ მბოჭავი არის წინაპირობა, რეალურად ეს არის პრერეკვიზიტი.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო ახლახან სიახლეს რაც უპრეცენტენტოა და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას, რომ მომავალ სემესტრში პანდემიის პერიოდში სტუდენტები უფასოდ ისწავლიან. ასევე ახსენა ამ სტუდენტების და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა ძალიან ბევრ პროექტში რაც მისასალმებელია. ასევე კითხვა ჰქონდა სტიპენდიებთან დაკავშირებით, ამ პროგრამაზე რამდენი სტუდენტის მიღებას ფიქრობენ და მათაც თუ დაენიშნებათ ეს სტიპენდიები.
დიმიტრი გეგენავამ მადლობა გადაუხადა და უპასუხა, რომ დაახლოებით გეგმავენ 40 სტუდენტამდე მიღებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის ინდიციდუალურად ყურადღების მიქცევა. მათ აქვთ 5 სახის სტიპენდია, ეს არის სულხან-საბა ორბელიანის სტიპენდია და თამარაშვილის სტიპენდია, საფაკულტეტო სტიპენდია, ბაზის ბანკის სტიპენდია,

გერმანელი და ავსტრიელი დიპლომატების სტიპენდიაა, რომლითაც საშულოდ წელიწადში 10 სტუდენტის გადასახადი ფინანსდება. ეს არის ორი კუმულაციური პირობა, ერთი, რომ უნდა სჭირდებოდეს რეალურად ანუ უნდა იყოს სოციალურად დაუცველი და აკადემიური მოსწრებაც უნდა ჰქონდეს. მხოლოდ იმის გამო, რომ სოციალურად საჭიროებაა სამწუხაროდ ესეთი ფუფუნება არ აქვთ, ანუ შესაბამისი აკადემიური ნიშანიც უნდა იყოს აუცილებლად და რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიის პროგრამებზეც გავრცელდება ანალოგიური იმიტომ, რომ შედის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში და გარდა ამისა, ფსიქოლოგიის შემთხვევაში, რაც ექსკლუზივები აქვთ დაახლოებით 4 პროგრამაზე ელოდებიან ერასმუსის პასუხს, რადგან შეიტანეს განაცხადები, მათ შორის ფსიქოლოგიას, რომ ფარავს იმ პროგრამაზეც. აქვთ ძალიან კარგი სტატისტიკა 13 სტუდენტზე ერთი გაცვლითი პროგრამაა, ეს არის ერასმუსი, ორმხრივი ხელშეკრულებები და ეს არის ფუსეს scholarship-ები, რომლის წევრებიც არიან. ამიტომ ფსიქოლოგიის სტუდენტებიც ცალკე ნამდვილად ისარგებლებენ ყველა ამ შესაძლებლობით და უფრო მეტიც, რამდენიმე პროფესორის ვიზიტი უკვე შეთანხმებული აქვთ, როგორც სლოვაკეთში ისე გერმანიაში, ფრაიბურგი და კიოლნი ძალიან მხარში უდგანან, გამოყენებითი უმაღლესი სკოლები და იქიდანაც არის შემოთავაზებები და წინადადებები წინასწარ დაფინანსებულიცაა.
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, ექსპერტების განსაკუთრებული პროფესიონალიზმი და დაამატა, რომ უცხოელი პროფესორები პროგრამის მომზადებაში ძალიან დაეხმარნენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა პროგრამას 4 წლის ვადით აკრედიტაცია.

4. **მეოთხე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 07 დეკემბრის N203
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ილია ჭავჭავაძის 53ა
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

სააკრედიტაციო წარმოების ფარგლებში დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• სადოქტორო პროგრამა უნდა იქნეს ინტერნაციონალიზებული სწავლებისა და ასევე, ხელმძღვანელობის საკითხებში. იდეალური იქნება, თუ უსდ შეიმუშავებს მოცემული სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას ან სამოქმედო გეგმას. ა. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს სადოქტორო პროგრამაში საერთაშორისო პარტნიორების ჩართვის გზების ძიებას, შესაძლოა ერთობლივი შედარებითი კვლევის მეშვეობით ეკლესიის ისტორიაში ან რელიგიების ისტორიაში, როგორც მათი სპეციალიზაციის სფერო. ბ. პროგრამის სასწავლო კომპონენტი საჭიროებს უახლესი საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის და აკადემიური კონცეფციების შეტანას და მათ გამოყენებას საქართველოს კონტექსტში. გ. სხვა ინოვაციური ნაბიჯი - საქართველოს ისტორიის ინტეგრირება საერთაშორისო კვლევასა და აკადემიურ საზოგადოებაში მოცემული სადოქტორო პროგრამის მეშვეობით - იქნება მისასალმებელი;

• სადოქტორო პროგრამის განსაკუთრებული როლი და ფუნქცია წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში უნდა იქნეს განმარტებული. პროგრამა მაქსიმალურად უნდა იყოს ფოკუსირებული ისტორიოგრაფიაზე (მიღების მოთხოვნები, სასწავლო კომპონენტი ფოკუსირებული ეროვნულ და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაზე). ეს შესაძლოა, ასევე, დაეხმაროს უნივერსიტეტის მენეჯმენტს პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში საბიუჯეტო დაგეგმვისათვის და მნიშვნელოვანი რესურსების გამოსაყოფად. შეფასების კრიტერიუმები უნდა იქნეს დივერსიფიცირებული და ფოკუსირებული პრეზენტაციების მიღმა განსაკუთრებული უნარების შედეგებზე. თუ ეს ჯერ არაა გაკეთებული, მაშინ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს დოქტორანტთა აქტიური ჩართულობა უნივერსიტეტში,

ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობაში და მისცეს დოქტორანტებს საპასუხისმგებლო როლი ასეთ თანამშრომლობაში;

• კურსების ლექტორები, ასევე, საჭიროებენ მუდმივად ინტერნაციონალიზებას. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს, საერთაშორისო სწავლებასა და დოქტორანტთა გაცვლაში მონაწილეობის მეშვეობით, საზღვარგარეთიდან გარე ლექტორების მოწვევას. უნდა არსებობდეს მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა პედაგოგებს საკუთარი სწავლების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, ისევე, როგორც დოქტორანტების ბიბლიოთეკაში საერთაშორისო კვლევების შესახებ ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში. საველე პრაქტიკის შესაძლებლობა წვლილს შეტანდა კურსდამთავრებულთა უკეთეს დასაქმებაში;

• უნივერსიტეტის მენეჯმენტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს გარე შეფასების უფრო რეგულარული ფორმების იდენტიფიცირება არა მხოლოდ ყოველ 5 წელიწადში აკრედიტაციის მიზნებისათვის, არამედ ყოველწლიურად;

• ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურებმა პროგრამის კვლევითი შედეგების ობიექტურად გასაზომად უნდა შემოიღონ შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორები, როგორიცაა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევითი გრანტები.

რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს:

სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ექპერტთა აღნიშნული რეკომენდაციები იყო ძალიან საყურადღებო და ასევე ძალიან საინტერესო, ამისათვის მათ გადადგეს სხვადასხვა ნაბიჯები, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შეესრულებინათ. ერთ-ერთი ასეთი იყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა მოახერხეს სიტყვიერი შეთანხმება ბერძნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში. ამის ერთი მაგალითი იყო ის, რომ უმასპინძლეს შარშან ათენის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც უნივერსიტეტში წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელიც ეხებოდა იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე არსებულ ქართულ საგანძურებს. ბერძენ პროფესორთან, რომელიც არის ამავე პროგრამის ერთ-ერთი ხელლმძღვანელია, საუბრისას მოხდა შეთანხმება, რომ უნივერსიტეტებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდებოდა საუნივერსიტეტო თანამშრომლობა. პანდემიამ ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა რიგი ნაბიჯების გადადგმაში, იმედია ეს ყველაფერი მალე დამთავრდება და უფრო აქტიურ თანამშრომლობაზე გადავალენ. გარდა ამისა მათ მოახერხეს უცხოელი პროფესორების, მათ შორის ტოკიოს უნივერტეტის პროფერორის ჩართვა პროცესში, რომელიც ერთხელ უკვე იყო მათი სადისერტაციო ნაშრომის საექსპერტო კომისიის წევრი. ეს დისერტაცია ეხებოდა XVII საუკუნეში საქართველო-ირანის ურთიერთობების საკითხებს და ასევე საინტერესოა ისიც, რომ ისინი შეთანხმდენენ ცნობილ ბრიტანელ ქართველოლოგთან მიმდინარე პროცესებში ჩართვაზე და ასევე განიხილავენ, რომ თითეული მათგანი სამომავლოდ დანიშნონ თანახელმძღვანელად. რა თქმა უნდა, მათი კვლევითი სფეროები ურთიერთთანხვედრაში იქნება. გარდა ამისა, აქვთ ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული მოსკოვის უნივერსიტეტთან. მათი შეთანხმების ძირითადი საგანი მაინც იყო, რომ ეკლესიის სფეროში ეკლესიის საკითხებთან მიმართებაში ჰქონოდათ ერთობლივი კვლევები და ასევე დოქტორანტებს მიეცემათ საშუალება, რომ მათთან ერთად განახორციელონ საერთო კვლევები. რა თქმა უნდა, მოსკოვი შეიძლება სხვანაირად ჟღერდეს, მაგრამ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით ეკლესიის ისტორია, საუკუნიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. ამიტომ ეს შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ამ რთულ პერიოდში მოახერხეს შეთანხმება თურქულ უნივერსიტეტთან და მათთანაც არის მიღწეული შეთანხმება, რომ დოქტორანტებს

პროგრამის განხორციელებისას ექნებათ საშუალება, რომ ჩავიდნენ თურქეთში და ამ უნივერსიტეტის თანადგომით განახორციელონ ისეთი კვლევები, რომელიც უკავშირდება საქართველო-თურქეთის ისტორიის საკითხებს. გარდა ამისა, სულ ახლახან მათ გააფორმეს ხელშეკრულება სომხეთში. ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ ინსტიტუტთან თანამშრომლობა, რადგან სომხეთში ძალიან ბევრი წყარო არის დაცული რაც უკავშირდება საქართველოს ისტორიას. იმისათვის, რომ მათ მიეღწიათ ამ მიზნისათვის, სპეციალურად სომხეთიდან მოიწვიეს ორივე ზემო აღნიშნულ უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერი, რომელმაც ჩაატარა ლექცია, საქართველოს უცნობ წყაროებთან დაკავშირებით, სამომავლოდ მიზნად ისახავენ, რომ დოქტორანტები გაუშვან სომხეთში და ერთად აწარმოონ კვლევები.
ასევე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ გამდიდრებულიყო ლიტერატურა და მომხდარიყო აკადემიური კონცეფციების შეტანა და მათი გამოყენება საქართველოს კონტექსტში, დაწესებულების წარმომადგებლებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური კონცეფციების გამოყენება არის ძალიან საჭირო და საინტერესო, მაგრამ მათ არ უნდათ, რომ ეს იყოს ხელოვნურად მორგებული მათზე, არამედ ბუნებრივად, ამიტომ ძალიან ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს. ამაზე მუშაობენ. ასევე იყო რეკომენდაცია, რომ განახლებულიყო ლიტერატურა სასწავლო კურსში დასახელებით „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, ეს რეკომენდაციაც გაითვალისწინეს და განახლდა ლიტერატურა.
გარდა ამისა იყო ასეთი რეკომენდაციაც, საქართველოს ინტეგრირება აკადემიურ საზოგადოებაში მოცემული სადოქტორო პროგრამის მეშვეობით. ეს რეკომენდაციაც სრულდება და ისინი ღებულობენ მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში და არამარტო პროგრამის განამხორციელებლები, არამედ უშუალოდ დოქტორანტებიც არიან ჩართულნი ამ ღონისძიებებში. ცნობადობის გაზრდის მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დოქტორანტებს, რომლებიც ჩააბარებენ მათ პროგრამაზე ექნებათ ვალდებულება, რომ ერთი პუბლიკაცია აუცილებლად გამოაქვეყნონ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და მათი პოზიცია ის იყო, რომ ეს საერთაშორისო ჟურნალი ყოფილიყო აუცილებლად უცხოეთში. რა თქმა უნდა სამეცნიერო აკადემიური პერსონალიც არის ჩართული მსგავს ღონისძიებებში, მაგალითად ბატონი სერგოც ნოემბერში მიწვეული იყო იაპონიაში კონფერენციაზე, სადაც მან გააკეთა მოხსენება საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიის აწმყო და მომავალზე. ძალიან საინტერესო იყო ის, რომ ბატონი სერგო ამ კონფერენციაზე იყო მთავარი სტუმარი და ისინი ყველანაირად ხელს უწყობენ, რომ კვლევითი შედეგები გაცნობილი იყოს ფართო საზოგადოებისათვის და ამისათვის აქვთ ამისთვის სპეციალურად განკუთვნილი კვლევების დაფინანსების წესიც. ნებისმიერი დოქტორანტი იქნება ეს თუ მაგისტრანტი, თუ მათ დაჭირდებათ უცხოეთში სამეცნიერო კვლევაში ან სამეცნიერო კონფერენციის ან სხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, ისინი მიმართავენ დაფინანსების თხოვნით და ფინანსდებიან შესაბამისად.
მოსკოვის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამის ძირითადი მიზეზი არის ის ფაქტი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში იწვევდნენ ცალკე აფხაზეთიდან და ცალკე ცხინვალის რეგიონიდან და ხდებოდა ძალიან დამახინჯება საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიის და ისინი დაუკავშირდნენ უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც არის დეკანოზი, ჩამობრძანდა ის საგანგებოდ და მხოლოდ ერთი პირობით დათანხმდნენ თანამშრომლობას, რომ არც ერთ შემთხვევაში აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან არ იქნებოდა ვინმე მიწვეული დამოუკიდებლად, იმიტომ, რომ იქ მაგალითად აფხაზეთის ეკლესიას წარმოაჩენდნენ, როგორც დამოუკიდებელ ეკლესიას. სხვა შემთხვევაში როდესაც ახლა ქვეყანა პირდაპირ “აგრესორია” აგრძელებს ამ გზას ასეთ ვითარებაში მასთან ურთიერთობა ცოტა უხერხული იქნება. რაც შეეხებოდა სომხეთს, სომხეთთანაც მიუხედავად იმისა, რომ აქვთ მეგობრული ურთიერთობა როგორც სახელმწიფოსთან არის ხოლმე ისტორიის დამახინჯებულად წარმოჩენის შემთვევები და მათგან ძალიან დიდი სურვილია ვინმემ შეისწავლოს სომხური ენა და შემდგომ განახორციელოს კვლევები ამ მიმართულებითაც.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ დასვა კითხვა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ხომ არ ფიქრობენ, რომ ეს ინტერნაციონალიზაცია შეიძლება შეეხოს ასევე, თვითონ კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას. ყველა სილაბუსი არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ რაც იყო, აი მაგალითად საქართველო ისტორიის და წყაროთამცოდნეობის თანამედროვე პრობლემები ეს ძირითადად მაინც არის სამაგისტრო საფეხურის ლიტერატურა, რაც პროგრამებშიც არის და უნდა იყოს და შეიძლება სადოქტორო საფეხურზეც, მაგრამ ალბათ უფრო დამხმარე უნდა იყოს.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დაამატეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ და მადლობა გადაუხადეს.
ასევე საბჭოზე მითითება გაკეთდა სწავლის თანამედროვე მეთოდებში სასკოლო, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის მითითებაზე და ეს შეიძლება შეცომით არის და ამოსაღებია ნამდვილად. მაგალითად, ქალბატონი ნათელა მაღლაკელიძის ლიტერატურაა დასახელებული ქართული ენის სწავლება სკოლაში და დანარჩენი რაც არის ლიტერატურა ისიც სასკოლო პედაგოგიკას ეხება და არა ვთქვათ საუნივერსიტეტოს.
დაწესებულების რექტორმა იკითხა, თუ ეგულებოდათ ასეთი ლიტერატურა დიდი მადლობლები იქნებოდნენ და გაითვალისწინებდნენ.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ არის თარგმანები და გამოვიდა 2009 წელს განათლების სამინისტრომ დაბეჭდა თავის დროზე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.
დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოს.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს მიერ აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა და სხდომის თავმჯდომარეობის მოვალეობა დაეკისრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - დიმიტრი გეგენავას.

5. მეხუთე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიან „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს	2018 წლის 07 დეკემბრის N201

	გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანთლებლო პროგრამა
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

სააკრედიტაციო წარმოების ფარგლებში დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია, სტუდენტისთვის სავალდებულო უნდა იყოს პაციენტის მიღება, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ დღიურში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალობის ისეთ საგნებს, როგორიცაა ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, მეტ-ნაკლებად - ქირურგია. ორთოპედია(პაციენტების სპეციფიკიდან გამომდინარე). მარტო ყურება დაუშვებელია;

• სილაბუსებში არსებული უზუსტობების გასწორება;

• სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო კლინიკის სასტერილიზაციო ოთახი, ცალკე სათავსი გამოიყოს ინფექციური ნარჩენებისთვის;

• გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება. დღეისთვის გამოცდაზე ფასდება სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნა, არ ფასდება სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტის ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის გადამზადების კურსს, კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის გამოცდით სტუდენტის ცოდნის შეფასება უახლოეს მომავალში რეალურად განხორციელდება;

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ 4 რეკომენდაცია ჰქონდათ შესასრულებელი და შესაბამისად შესრულებულია ოთხივე.
რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა გამოცდის "ოსკით" ჩატარებას, ასევე იყო უმნიშვნელო ხარვეზები სილაბუსებში შეფასებასთან დაკავშირებით და უზუსტობები რაც გამოსწორებული იქნა. ოსკი იყო მათთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც თავიდან ბოლომდე გაითვალისწინეს. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ასევე ჰყავთ დარგობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს ფაკულტეტზე და შესაბამისად სამუშაოები განხორციელდა და დღესდღეობით მოწესრიგებულია. პირველი გამოცდა იყო იანვარში "ოსკის" მეშვეობით განხორციელდა ეს გამოცდა, ანუ შეფასების სისტემაც ძირითადად მეხუთე კურსზე ხდება ოსკით შეფასება და ეს არის თერაპიულ სტომატოლოგიაში, მეორე-მესამე კურსებზე ასევე მინიონოსკით. რაც შეეხება ოსკით შეფასებას, აქ შეფასების 40 ქულიანი სისტემაა, აქედან 20 ქულა არის ოსკის ანუ პრაქტიკული კურსის და რაც შეეხება 20 ქულას ეს არის უკვე თეორია, რომელიც ტესტირების ფორმით ხორციელდება.
საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ ანგარიშს და მოწვევა განპირობებული იყო სწორედ იმით, რომ ყველა რეკომენდაციაზე პასუხი გაცემულია, სილაბუსები გადმოგზავნილია, თუმცა პროცესი როგორ ხორციელდება მისი გაგება ესეთი წარმოდგენილი დოკუმენტებით ცოტა ძნელი იყო. სწორედ ერთ-ერთი საკითხი იყო ოსკი, თუმცა რეკომენდაციაში მარტო ოსკიზე არ იყო ხაზგასმა, იყო ასევე ზოგადად უნარჩვევების კომპონენტის შეფასება, მათ შორის ოსკის.
საბჭოს წევრმა დააზუსტა კითხვა ოსკის ჩატარებასთან დაკავშირებით, ფაქტიურად ერთწლიანი ანგარიში ჰქონდათ და გამოვიდა, რომ 6 თვეში მოასწრეს, ოსკის მომზადება ადვილი არ არის და რა ტრენინგები დაგეგმეს ანუ როგორ მოამზადეს აკადემიური პერსონალი თუ მოწვეული პერსონალი ოსკის ჩასატარებლად. ასევე, თვითონ სილაბუსი თერაპიული სტომატოლოგიის პრაქტიკის ბოლოში რაც აქვთ, ნამდვილად დეტალურად არის, ურალოთ როდესაც სილაბუსის ბოლოში დანართის სახით წარმოდგენილია სადგურზე როგორ უნდა მოხდეს სტუდენტის შეფასება თუ ეს განახორციელეს, რთულია აი იმ დოკუმენტით შეფასდეს, იმიტომ, რომ ფაქტიურად არ არის მოცემული. წერია, მაგალითად, რომ 1 ქულა დაეწერება თუ 1 ვერ უპასუხა, 2 დაესწრება თუ ორს უპასუხა, 0 დაეწერება უტრირებულად, რომ ვთქვათ თუ ორს უპასუხა ერთს ვერ უპასუხა.. ეს ერთი და მეორე აი კიდევ ოსკისთან დაკავშირებით, არის ის, რომ დანართში რაც აქვთ წარმოდგენილი, რასაც მაგალითად ოსკის დროს უფასებენ, მომზადების პროცესი ექიმის 6 წუთში გაწერილი, რომ უნდა ჩაიცვას და ინფექციის გადატანის შანსი შეამციროს, თვითდაცვა ისწავლოს, გამოაჩინოს, თვითონ სილაბუსში არსად არ წერია, რომ ამას ასწავლიან. ეს ბოლო კურსია, შემაჯამებელია და ალბათ წინა კურსებზე ნასწავლი აქვთ, მაგრამ ან "checklist" უნდა იყოს კარგად გაწერილი, რომ ჩანდეს რომელში რა დააკლდება, იმიტომ, რომ ფაქტიურად თუ ხელთათმანი კარგად ჩაიცვა და ხელი არ დაიბანა სწორედ, ვერ დაუწერს ნიშანს, არადა ერთადაა. ამიტომ დარჩა შთაეჭდილება, რომ ეს გადამოწმებული პროცესი არ არის.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაუხადეს კითხვისთვის და განმარტეს, რომ ნახეს რა ხარვეზები აქვთ და რა გამოსასწორებელი, ამ ეტაპზე მხოლოდ რვა სადგური აქვთ თორმეტიდან, აპირებენ, რომ უკვე თორმეტივე სადგური განხორციელდეს. ეს იყო მხოლოდ პილოტირების რეჟიმში გაკეთებული და იციან უკვე რა უნდა გაასწორონ და როგორ, რაც შეეხება თვითონ ოსკის გამოცდას, ოსკის გამოცდაზე თითო ეტაპზე ჰყავდათ 8 სტუდენტი, თითოეულ სტუდენტს ჰქონდა თავისი გზამკვლევი, სახელი და გვარით არ არიან ბეიჯებით არიან და თავიანთი ნომრის მიხედვით ან ამ გზამკვლევით გადაადგილდებიან შესაბამის სადგურებზე. ყველა სადგურს ჰყავს თავისი შემფასებელი, ანუ თითოეული ლექტორი, შეფასებებიც აქ განსხვავებულია იმის და მიხედვით რამდენად მნიშვნელოვანია. მაგალითად პაციენტის გამოკითხვა, ანკეტის შევსება 3 ქულიანი იყო, თუმცა პირის ღრუს დათვალიერებაეს უკვე 4 ქულით ფასდებოდა, ანუ შესაბამისად გამოდიოდა 20 ქულა. ანუ არ აქვთ ესე ბრმად დაყოფილი ქულები, რომ ყველა სადგურთან ერთიდაიგივე ქულით ფასდებოდეს სტუდენტი.

საბჭოს წევრმა თხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ეთქვათ რა ღონისძიებები გაატარეს ამ ხალხის მომზადებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ტრენინგებზე გაუშვეს მოწვეული და აკადემიური პერსონალი. ოსკის ტრენინგი ტარდებოდა სამედიცინო უნივერსიტეტში, და მათ აქვთ ამ ტრენინგის დამადასტურებელი სერთიფიკატები. პროგრამის ხელმძღვანელიც ბრძანდებოდა ამ ტრენინგზე.
საბჭოს წევრმა თხოვა წარმომადგენლებს, რომ მოკლედ ეთქვათ იმის შესახებ თუ როგორი არის კონცეფცია.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მეხუთე კურსთან ჩაატარეს ფინალური გამოცდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის და ტესტური გამოცდის სახით. ანუ თითეულს მინიჭებული ჰქონდა 20 ქულა, შესაბამისად ეს ოსკი ტარდება მთელი სასწავლო პროცესის დროს სასწავლო კურსებში, გაწერილი პრაქტიკული უნარჩვევების შემაჯამებელი გამოცდით. თითო სემესტრის ბოლოს გადიოდნენ, ანუ რომ დავიწყოთ ბოლო კურსიდან ოპერაციული ოდენტოლოგია, სადაც სწავლობენ ფანტომებიდან და როგორ კეთდება ხელთათმანი, როგორ კეთდება პირბადე, ვთქვათ აი ფანტომებიდან ხდება ნელნელა ასე ვთქვათ ბოლოს შემაჯამებელი გამოცდები.
საბჭოს წევრმა იკითხა , რომ ჰქონდათ რეკომენდაცია სასტერილიზაციო ოთახის მოწესრიგებასთან დაკავშირებით და მერე სპეციალური დოკუმენტია, რომელიც მითითებული ჰქონდათ, 294 დადენილება სამედიცინო ნარჩენების მართვის წესი როგორია. მიიღეს გამოგზავნილი ფოტოები, ერთი იყო ჟურნალი და მეორე იყო დახარისხება ამ სამედიცინო ნარჩენების. ეს ხომ ხდება სტომატოლოგიურ კლინიკაში, კლლინიკა ხომ ფუნქციონირებს და ფაქტიურად მას ხომ უნდა გაევლო ექსპერტიზა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და აკრედიტაცია უნდა ჰქონოდა, არ იყო შესრულებული ეს მოთხოვნა?
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს მოთხოვნა იმ დროს არ იყო, მოგვიანებით გაჩნდა, რის მიხედვითაც მოწესრიგდა საუნივერსიტეტო კლინიკა, ცალკე სათავსო გამოიყო ინფექციური ნარჩენებისთვის და მოწესრიგდა იმ დადენილების მიხედვით რაც ამ ეტაპზე აქვთ მიწოდებული.
საბჭოს წევრმა იკითხა რჩევასთან დაკავშირებით. სადაც წერია, რომ უკეთესი იქნება, რომ საზღვარგარეთ უნივერსიტეტებთან კონტაქტი დამყარდეს და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ინტენსიფიკაცია მოხდეს და გაძლიერდეს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის მუშაობა და ამაზე რა მოსაზრება აქვთ დაწესებულების წარმომადგენლებს.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უკვე დაწყებული აქვთ კომუნიკაცია ერასმუს+-თან, ჰყავთ სტუდენტები, რომელთა გაშვებას აპირებენ სტაჟირებაზე, რამოდენიმე უნივერსიტეტთან არის ეს მემორანდუმი გაფორმებული, აქაც იყვნენ ჩამოსულები, სტუდენტებმა 2019 წლის ოქტომბერში კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, საერთაშრისო სტომატოლოგიური ასოციაციის კონფერენცია იყო. 2 სტუდენტი ჰყავთ ასეთი სტომატოლოგიაზე, რომელთა გაშვებასაც აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით შეფერხებულია პროცესი და მიმოწერა. ალბათ როგორც კი აღდგება მიმოსვლა უკვე განახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს.
სტუდენტების რაოდენობას რაც შეეხება დაწესებულებამ განმარტა, რომ ჰყავთ დაახლოებით 300-დან 350-მდე სტუდენტი.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს მიერ აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

ამასთან, საბჭომ ყურადღება გაამახვილა 2018 წლის 07 დეკემბრის N201 გადაწყვეტილებაზე და შესაბამის სხდომის ოქმზე (N58) და აღნიშნა, რომ პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს რეკომენდაციების პრაქტიკული ნაწილის შესრულების საკითხს.

364 442 0402

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კიკნაძე ნიკოლოზ